წერილის ნომერი:**31-31262991**
თარიღი: **26/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ქართული ოცნება ,,დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ნანაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ქალაქის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 23 ოქტომბერი, 2026 წელი 17.00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ივანე ებრალიძე, ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კვიტაიშვილი, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი თენგიზ ურუშაძე, გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ტატო ურუშაძე, ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ცინცაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) ნიკოლოზ კოზანაშვილი საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნინო ებრალიძე და ამომრჩევლები.

საკრებულოს წევრი ვლადიმერ ნანაძე შეხვდა ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება.

ანგარიში შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს დეპუტატმა ვლადიმერ ნანაძემ წარადგინა 2025 წლის მდგომარეობით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2025 წელს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიაში: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია და ფრაქცია ქართული ოცნება ,,დემოკრატიული საქართველო“.

ვლადიმერ ნანაძემ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში არაერთ მოქალაქეს გაეწია მის მიერ შუამდგომლობა საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

1. ებრალიძის ქუჩაზე ჩიხში რკინა/ბეტონის არხის მოწყობა-3170
2. ნინოშვილის ქუჩაზე სამუსიკო სკოლის მიმდებარედ რკინია /ბეტონის არხის მოწყობა-16623
3. ჟორდანიას ქუჩის 126, 130, 132-ის მიმდებარედ, ტერიტორიის რეაბილიტაცია-183999.
4. სპორტული დარბაზის მშენებლობა-2 680535.
5. საქმიანო ეზოს მოწყობა-789 000.
6. კვირკველიას ქუჩაზე რკინა/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა-51802.
7. კვირკველია ქუჩაზე ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია- 118 071.
8. ზენაიშვილის და თამარ მეფის ქუჩაზე მინი სტადიონთან სანიაღვრე არხის და დამცავი კედლის მოწყობა-26 110.
9. კუპრეიშვილის, მუსხელიშვილის და თავისუფლების ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია-13913.
10. ლაშისღელის უბანში დუმბაძის ქუჩაზე ათოიანის სახლთან, გაბიონის მოწყობა- 69980.
11. ორაგვისღელის უბანში ბიქტორ ორაგველიძესთან და ქეთი წილოსანთან გაბიონის მოწყობა-67967.
12. ჟორდანიას ქუჩაზე ლაშისღელის ხიდთან გაბიონის მოწყობა-40790.
13. ირაკლი წილოსანთან გაბიონის მოწყობა-46490.
14.სასულიერო გიმნაზიის სტადიონთან გაბიონის მოწყობა-4283.
15.წმინდა ნინოს ქუჩაზე წილოსანთან გაბიონის მოწყობა-25302.
16.ნინო ნინიძის ეზოსთან ნაპირსამაგრის მოწყობა-11726.
17.ზოია ჩხაიძესთან საცალფეხო ხიდის და გაბიონის მოწყობა-10253.
18.თამარ მეფის ქუჩის მე-4 მონაკვეთის რეაბილიტაცია-337041.
19.თბილისის ქუჩის რეაბილიტაცია-384939.
20.ორაგვისღელის უბანში სტადიონის მოწყობა-115809.
21.მე-3 საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაცია-14 978.
22.მე-3 საჯარო სკოლის თავლდამჭერი მოწყობის აღდგენა და ეზოს რეაბილიტაცია-19 621.
23.ჭავჭავაძის ქუჩაზე გაბიონის, პანდუსის და მოაჯირის მოწყობა-65 414.
24.ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუსაოები-27 2257.
25.თავისუფლების ქუჩის რეაბილიტაცია-1072966.
26.მე-3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-26 626.

მან მადლობა გადაუხადა მოსახლეობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამომავლოდ დახმარება აღუთქვა.

პატივისცემით,

ვლადიმერ ნანაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მოადგილე